საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5093
23/12/2024

5093-01-2-202412231231

შპს „გაჯეტ სოლუშენსს“ (ს/ნ 400364592)
მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანი, მე-3 მ/რ, კორპ №1, ბ.№38
მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №6

როგორც თქვენთვის ცნობილია სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 ოქტომბრის №04/1047 ბრძანებით, მოქალაქე ის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე სსიპ - სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „გაჯეტ სოლუშენსის” (ს/ნ 400364592) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით, აღნიშნულის საფუძველზე,სააგენტომ 2024 წლის 31 ოქტომბრის №04/1047 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო მოქალაქე
2024 წლის 19 დეკემბრის N01/6566 განცხადება.

კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს განცხადება მომხმარებლის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს: ა) ჰყავდეს წარმომადგენელი; ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

ასევე, განგიმარტავთ, რომ პროცედურის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლებამოსილია, საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვოს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია).

აღნიშნულის შესაბამისად, გთხოვთ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: „4“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

განცხადება

1. ზოგადი მონაცემები

განმცხადებელი:

1. სახელი, გვარი, პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში) დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში):
2. მისამართი:
3. ტელეფონი:
4. ელ-ფოსტა (არსებობის შემთხვევაში):

განმცხადებლის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში):

1. სახელი, გვარი, პირადი ნომერი:
2. მისამართი:
3. ტელეფონი:
4. ელ-ფოსტა:

მოვაჭრე / მომსახურების მიმწოდებელი:

1. სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში); დასახელება/ საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში): შპს გაჯეტ სოლუშენი / ს.კ 400364592
2. მისამართი:
3. ტელეფონი (არსებობის შემთხვევაში):
4. ელ-ფოსტა (არსებობის შემთხვევაში):

2. საქმის გარემოებების დეტალური აღწერა

სოციალურ ქსელში „facebook" ვნახე რეკლამა გვერდზე „New Bot " რობოტი მტვერსასრუტის და შევიძინე ამავე გვერდის მესენჯერის დახმარებით , გადავიხადე 265 ლარი . რამდენიმე კვირაში დაუფიქსირდა ხარვეზი , დავუკავშირდი წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე +995557019900 ეს იყო 31 ოქტომბერს , მითხრეს მიმეწერა მესენჯერში .მომწერეს რომ ნივთს გამომიცვლიდნენ რადგან საგარანტიო 55 დღე აქვს . ერთი კვირის მერე ისევ რომ არ გამოცვალეს ნივთი თავიდან მივიწერე მაგრამ აღარ მპასუხობენ. ნომერზე რომ დავრეკე მითხრეს მაგ კომპანიაში აღარ ვმუშაობ და ისევ მესენჯერში მიიწერეო. მესენჯერშიც არავინ მპასუხობს .დღემდე არავინ შემხმიანებია .

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
კანცელარია
№ 0146566 19.12.2024 წ.
ფურცლების რაოდენობა 483

3. მტკიცებულებები (არსებობის შემთხვევაში)
1. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს (დანართი N) საგარანტიო წერილი
2. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს (დანართი N)
3. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს (დანართი N)

4. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნა (არსებობის შემთხვევაში) (გთხოვთ, დაასახელოთ, კონკრეტულად რა სახის ინფორმაციის ცნობა გსურთ კომერციულ საიდუმლოებად - შესაბამისი მითითებით)

5. **განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხა**
დასახელება: საგარანტიო წერილი
დასახელება:
დასახელება:

[redacted] ვადასტურებ, რომ განცხადებაში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და ჩემთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მოწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

განმცხადებელი /განმცხადებლის წარმომადგენელი --------

ხელმოწერა

თარიღი -18/12/2024-